სახალხო ფურცელი

№ 767 სამშაბათი, 10 იანვარი 1917 წ. № 767

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა, ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის გაზეთ
„სახალხო ფურცელზე“

გაზეთი სურათებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მანეთად, ნახევარი წლით 8 მანეთად, სამი თვით 5 მანეთად.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად:

ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ აპრილისთვის 4 მანეთი და 1 აგვისტოსთვის 4 მანეთი.

კანტორა ხელის მოწერისათვის ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, „სახალხო ფურცლის“ რედაქცია, სასახლის ქუჩა, № 6. Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. 190.

გულდათუთქულნი დედა კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასული აბაშიძისა, მეუღლე კონსტანტინე ბეჟანის ძე საბახტარაშვილი, ბიძები თავ. გრიგოლ და ლევან კონსტანტინეს ძენი აბაშიძეები აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ

ნინო (ნუცა) თავ. იასონ აბაშიძის ასულის
საბახტარიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. ცხედარს გამოასვენებენ სამშაბათს 10 იანვარს ქვაშვეთის ეკლესიიდან ნაშუადღევის 4 საათზე რკ. გზის სადგურზე, საიდანაც ღამის მატარებლით წაასვენებენ ქ. ქუთაისში. ქუთაისის სადგურიდან ცხედარს 11 იანვარს დილის 9 ს.-ზე წაასვენებენ საკრებულო ტაძარში. დაკრძალვა წირვის შემდეგ საფიჩხიის სასაფლაოზე.

კნ. პელაგია ნიკოლოზის ასული, ანტონინა დავითის ასული ფადავები, ნინო პლატონ ჩხეიძის ასული ქორიძისა დებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველის დისწულისა დანარჩენების დეიდაშვილისა

ნინო (ნუცა) თავ. იასონ აბაშიძის ასულის
საბახტარიშვილისას

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ცხედარს გამოასვენებენ სამშაბათს 10 იანვარს ქვაშვეთის ეკლესიიდან ნაშუადღევის 4 საათზე რკინის გზის სადგურზე, საიდანაც ღამის მატარებლით წაასვენებენ ქ. ქუთაისში, ქუთაისის სადგურიდან ცხედარს 11 იანვარს დილის 9 საათზე წაასვენებენ ტაძარში. დაკრძალვა წირვის შემდეგ საფიჩხიის სასაფლაოზე. 18

პელაგია იაკობის ასული, ბენან როსტომის ძე, ნინო ხილიბისტროს ასული, იასონ ბეჟანის ძე, ივანე და ვასილი იასონის ძენი თამარა და ქეთევან იასონის ასულნი საბახტარაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი ოთხის უძვირფასესი საყვარელი რძლის და დანარჩენების ბიცოლასი

ნინო (ნუცა) თავ. იასონ აბაშიძის ასულის
საბახტარიშვილისას

უდროოდ გარდაცვალებას.

ელისაბედ ივანეს ასული, სოფიო დიმიტრის ასულის, რუსუდან ნესტორის ასული, გიორგი და მიხეილი ალექსანდრეს ძენი და ალექსანდრე (საშა) გიორგის ძე საბახტარიშვილები ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი უძვირფასესი და საყვარელი რძლის და უკანასკნელი ბიცოლას

ნინო (ნუცა) თავ. იასონ აბაშიძის ასულის
საბახტარაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

ხარფუხის საზოგადო. კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).
დღეს, 10 იანვარს, 1917 წელს.
სინემატოგრაფი,
სიმებიანი ორკესტრი
დასაწყისი საღამოს 8-ნახ. საათზე. სტუმრები საზოგადო წესით. 1002

ახალი გრანდიოზული
ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა
მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00
დღეს, 10 იანვარს, გაიმართება
დიდი წარმოდგენა.
დღეს გასტროლი ახალგაზრდა ფენომენის ისტორიკოსის და მათემატიკოსის ვალოდია ზუბარიცკისა. წარმოდგენის დასაწყისი 8 ს. შესრულებულ იქნება მთელი პროგრამა. მონაწილეობენ ყველა არტისტები და არტისტკები. კასა ღიაა დილის 11 საათიდან. წაიკითხეთ აფიშები.

14 იანვარს ნინოობას
ახალ კლუბის დარბაზში გაიმართება
ტრადიციული საღამო
ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა
შემდეგი პროგრამით:
I
სამშობლოს
უკანასკნელი სურათი.
II.
რუსთაველის
მეორე მოქმ.
III
პატარა კახის
მეორე მოქმედება.
IV
აპოთეოზი
ქეთევან დედოფლის დაწვა.
მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი დავითაშვილი, ქიქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი იშხნელი, გვარამძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე ბილეთები იყიდება დღეით „სახ. ფურც.“ კანტორაში და საღამოთი „ძმურ ნუგეშში“. 1009

НОВАЯ КНИГА
Б. Ишханянъ
„НАРОДНОСТИ КАВКАЗА“,
(Статистико-экономическое изслѣдованіе)
Съ предисловіемъ статистика С. Патканова.
цѣна 1 р. 50 коп.
Складъ изд. Петроградъ, книж. маг. М. В. Попова, Невск. пр., д. 66. въ Тифлисѣ книж. маг. „Новая Рѣчь“, „Центральный“ и др. 19

დეკემბრის 27—28 რიცხვებში
დაიკარგა
საქაღალდე სხვა და სხვა დოკუმენტებით.
მპოვნელთ ვთხოვ, მოიტანოს შემდეგი მისამართით: Давыдовская № 2. 21

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.
ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

საექიმო კაბინეტი ექიმ
პ. ს. ფონ-ირტელის
სპეციალისტი ქირურ., საშარდე-სასქეს., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესაგ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ექიმი
გ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

ექიმი
ვ. მუხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
შ. დ. წინამძღვარიშვილი
ყოფილი ორდინატორი თერაპევტიულ კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალისტად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, მეორე სართული. 1061

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი ფიზიოთერაპიით და ელექტრონით. თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლენოიდი. განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის, თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92 868

ექიმი ქალი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თავადთა სამკურნალოსი.
იღებს ქალების ავადმყოფთ ყოველ-დღე ნაშუადღევის 1½—3½ საათამდე, კვირა დღის გარდა. სერგიევის ქუჩა, № 1.
ტელეფონი, № 16—87 1409

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი
თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნი ქ. 18. 1391

ექიმი
პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1271

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 1 კირპიჩნი ქუჩის შესახვევში 21.

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77. 1069

ტფილისი, 10 იანვარი 1917 წ.

მთავრობა და სათათბირო.

მართველი წრეების რყევას თითქოს ბოლო ეღება, მთავრობა თითქოს გარკვეულს გზას ადგება. მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ თითქოს. გარკვეულობა მარტო გარეგნულია, გეგმა სადეკლარაციო ხასიათისაა და არსებითად არა იცვლება: ისევ ძველი გზა, ძველი ორჭოფობა და არევ-დარეულობა რჩება.

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ევოლუციის დასაჩქარებლად აუცილებლად საჭიროა მთავრობა ერთს გარკვეულს მიმართულებას მიემხროს. უმჯობესია მთავრობა გამოაშკარავებული სახისა, თუნდაც რეაქციონური, ვიდრე მთავრობა, რომელიც დღეს ერთს ამბობს და აკეთებს და ხვალ სხვას. ესეთი გარკვეული სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულება გამოაცხადებს სავსებით დღევანდელს სინამდვილეს და მაშინ ადვილი იქნება უფრო ძირითადი ცვლილებების განხორციელება...

ამ მოკლე ხანში რამდენიმე მინისტრი გამოიცვალა და თავმჯდომარედაც დანიშნულ იქნა სრულიად ახალი პირი. სახელმწიფო საბჭოს შედგენილობაც განახლდა და მართველი წრეების საერთო მიმართულება აშკარად გადაიხარა მარჯვნივ. რას მიაქცევს მთავარს ყურადღებას განახლებული მთავრობა? ეხლახან გამოცხადებული უმაღლესი რესკრიპტი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიმართ ცოტაოდნად არკვევს ამ გარემოებას. მთავრობის უპირველეს საქმედ მიჩნეულია ომის სასურველად დაბოლოვება და სრული გამარჯვების მოპოვება. ამისთვის განსაკუთრებით უნდა იზრუნოს სურსათის საქმის მოსაწყობად როგორც ჯარისთვის ისე ზურგისათვის. უნდა უკეთ მოეწყოს რკინის გზებზე გადატან-გადმოტანის საქმე და სხვა. ხოლო ყველაზე უფრო საყურადღებო ისაა, რომ მთავრობას ევალება ჯეროვანის ყურადღებით და პატივისცემით მოეპყრას საერობო თვითმართველობას და კეთილი განწყობილება იქონიოს სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროსთან.

უკანასკნელი გარემოება მით უფრო საგულისხმიეროა, რომ ამ დღეებში საკანონმდებლო დაწესებულებათა შეკრების დღე გადაიდვა 14 თებერვლამდის და რამდენიმე კერძო განცხადებიდან ვიცით, დეპუტატები ძალიან უნდობლად უცქერიან თ. გალიცინის სამინისტროს და ვერ წარმოუდგენიათ როგორ მოხდება მათი შეხვედრა და ერთად მუშაობა. ეხლა უმაღლესი ბრძანება გადაჭრით მოითხოვს მთავრობისაგან მორიგებას და შეთანხმებას სახელმწიფო სათათბიროსთან. მაგრამ ძალაუნებურად იბადება კითხვა: შესძლებს ამას დღევანდელი მთავრობა, შესაძლებელია მთავრობას და სახალხო წარმომადგენლებს მუშაობის საერთო ნიადაგი, შესაძლებელია მემარჯვენე მთავრობის „პროგრესიული ბლოკის“ გზების შეხვედრა?

ეს მეტის მეტად საეჭვოა. რაც უნდა ნაკლი ჰქონდეს სახელმწიფო სათათბიროს უმრავლესობას, მაინც დღემდის მის საფუძველს შეადგენდა ის საზოგადოებრივობა, რომელსაც როგორც ომის წესიერი წარმოებისათვის ისე შინაური ცხოვრების გასაუმჯობესებლად გარდაუვალ საჭიროებად მიაჩნია ფართო რეფორმები და საზოგადოებრივი ძალების თავისუფალი თვითმოქმედება. იმ პირთ კი, რომელნიც სათავეში მოექცნენ დღეს მთავრობას, ამის შეგნება არა ჰყოფნით, არ ძალუძთ. მათი განზრახვაა ისევ ძველი გზით იარონ, ძველის გეზით იმოქმედონ და მხოლოდ მცირეოდენი, უმნიშვნელო ცვლილება შეიტანონ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში...

ფრიად ძნელია ორი სხვა და სხვა მიმართულების გზის შეერთება, ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო ტაქტიკის შეთანხმება.

ომის გარშემო

ომის დღიური

ბოლო დროს ყველა ასპარეზებით შედარებითი სიწყნარე ჩამოვარდა, გარდა რუმინიისა, სადაც ოპერაცია წინანდებურად მიმდინარეობს და მდ. სერეტის ხაზი თანდათან მოპირდაპირეთა შორის ზღუდედ იდება. გუშინწინდელ დეპეშის ცნობით მოპირდაპირე მდ. სერეტის ხაზს მოადგა შესართავიდან დაწყებული მდ. რიმნიკას და სერეტის შესართავის რაიონამდე, ე. ი. მდ. სერეტის მარჯვენა ნაპირი დუნაიდან დაწყებული ნემოლოსამდე ამ ჟამად მოპირდაპირის ხელშია და ეს გარემოება მას მეტად უადვილებს გალაცის და რენის მიმართულებებით მოქმედებას და შეიძლება მდ. სერეტის ხაზის მნიშვნელობა, როგორც ბუნებრივ ზღუდისა გაქარწყლდეს. იქნებ ამით აიხსნება ის ფაცა-ფუცი და ევაკუაციისათვის ზრუნვა, რომლის შესახებ ცნობებს გაზეთები გადმოგვცემენ. მოკლე ხანში ალბად რუმინიის კრიზისი ასე თუ ისე დამთავრდება.

გვიახლოვდება გაზაფხული და სპეციალისტები და პრესა შეუდგა ძიებას და გამოცნობას თუ რაა მოსალოდნელი ბრძოლის პირებით. ყველა ერთხმად გაიძახის, რომ გერმანია დიდს მზადებაშია. თითქოს მეორდება ის

მდგომარეობა, რომელიც წარსულ წლის დასაწყისში დატრიალდა. ოთხთა შეთანხმება საერთო გენერალურ ბრძოლისათვის ემზადებოდა, გერმანია და მისი მოკავშირენი თითქოს განაბულნი იყვნენ და უცებ თებერვალში იგრიალა ვერდენის ოპერაციამ. დღესაც თითქოს ისეთივე მდგომარეობა დატრიალდა. ოთხთა შეთანხმების ზედიზედ კონფერენციები და მისი პასუხი გერმანიისა და ამერიკის მიმართ მოწმობენ, რომ ოთხთა შეთანხმება დიდი ოპერაციისათვის ემზადება. და გერმანია რათქმა უნდა შეეცდება დაასწროს და კვლავინდებურად თადარიგი შეუშალოს.

ი. გმ—ვა ლი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი, 7 იანვარი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. მთელი ბრძოლის პირით სროლა და მზვერავთა თარეშია.

პეტროგრადი, 8 იანვარი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. კოველის მიმართულებით, ვლიცკის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონებში ორჯერ სროლა ავტეხეთ, ზოგიერთ ალაგას მოპირდაპირეს მავთულის ღობე დავუნგრიეთ და ერთს საფარში აფეთქება მოვახდინეთ. ბოლიმივცის ჩრდილოეთით მოპირდაპირის მძიმე არტილერია უშენდა ჩვენს პოზიციას და ოდნავ დაგვიზიანა თხრილები სოფ. სკომიროხის რაიონში. სტანისლავოვის სამხრეთით, ზაგვოზდის რაიონში ჩვენი მზვერავნი დაეცნენ მოპირდაპირის მზვერავთა რაზმს და ხელჩართულ ბრძოლაში ზოგი დახვრიტეს და ზოგიც ტყვედ წამოასხეს. დანარჩენ ბრძოლის პირით სროლაა.

რუმინიის ბრძოლის პირი. ბარასის რაიონში (ლამუნტელუს მთის 15 ვერსის სამხრეთით) მოპირდაპირე შეტევას შეეცადა, მაგრამ სროლით უკუვაქციეთ. რაკოტიაშის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირის შეტევამ უნაყოფოდ ჩაიარა. ამ რაიონში მოპირდაპირე „დუმ-დუმის“ ტყვიას ხმარობდა. პრალეს სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლა კვლავ სწარმოებს. ჩვენი მზვერავები მდ. პუტნას მეორე ნაპირზე გადვიდნენ და ოლესჩის რაიონში (ფოქშანის 16 ვერსის ჩრდილოეთით), მოსპეს მოპირდაპირის სადარაჯო, მეტი ნაწილი დარაჯებისა დახვრიტეს, დანარჩენნი ტყვედ წამოასხეს. მოპირდაპირემ საველე და მძიმე არტილერიის დახმარებით დიდი ძალებით შეტევა დაიწყო ნანესჩირომნიკის შესართავის ხაზით და ჩვენი ჯარი სერეტისაკენ უკუ-აქცია.

ბ) თვალსაჩინო არაფერი მომხდარა. ზოგ ალაგას ჩვენი და რუმინელების მზვერავნი მარჯვედ მოქმედებდნენ.

კავკასიის ბრძოლის პირი. 3 იანვარს ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა სულტან-აბადის მიმართულებით დაიპყრა ბურუჯირდი. უკანასკნელ ბრძოლაში შევამჩნიეთ, რომ მოპირდაპირე „დუმ-დუმის“ ტყვიას ხმარობდა.

კავკასიის ბრძოლის პირი. ცვლილება არ მომხდარა.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი, 7 იანვარი. ცნობა 6 იანვარს საღამოთი. გუშინ საღამოს ფოკისერის აღმოსავლეთით მოვიგერიეთ მოპირდაპირის მზვერავნი, რომელნიც ჩვენს თხრილებს უახლოვდებოდნენ. დღისით ჩვენმა არტილერიამ მოპირდაპირის მომუშავეთა რამდენიმე რაზმი გაფანტა ანკრის რაიონში. მარჯვედ ვუშენდით ლაბასეს არხის მახლობლად მდებარე მოპირდაპირის პოზიციას, დანარჩენ ბრძოლის პირით არტილერიის ჩვეულებრივი სროლა სწარმოებდა.

პარიზი, 6 იანვარი. ცნობა დღისით. მთელი ბძროლის პირით ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

პარიზი, 6 იანვარი. სამხედრო მინისტრთან დაარსდა სპეციალური კომისია, რომელიც განაგებს ომის საერთო ხელმძღვანელობის საკითხს და იმ წინასწარ ზომების შემუშავებას, რომელნიც ამ საკითხთან დაკავშირებულნი არიან. გენერალი ალიენი ხელმძღვანელობს ამ კომისიას, რომელიც დაკავშირებულია გენერალურ შტაბთან.

ლონდონი, 7 იანვარი. ოფიციალურად აცხადებენ, რომ ლონდონის მახლობლად აფეთქდა ქარხანა, რომელიც სამხედრო მასალას ამზადებდა. შიშობენ რომ ბევრია დახოცილი, ზარალი დიდია.

ოფიციალურად უარჰყოფენ ხმას, ვითომ განზრახულია საფრანგეთში ინგლისის ჯარის და საფრანგეთის მთავარ სარდალთა შორის დამოკიდებულების შეცვლა.

პარიზი, 7 იანვარი. ცნობა საღამოთი. ლასინიის სამხრეთით მდებარე რაიონში არტილერიის მკაცრი ბრძოლა სწარმოებდა. მოპირდაპირის უეცრივი იერიში ერთს ჩვენს თხრილზე მარცხით დამთავრდა. სუასონის ჩრდილო-დასავლეთით და ვენგრის რაიონში ტყვეები წავართვით. ალზასში ბურნჰაუპტის რაიონში მზვერავთა შეტაკებაა. ალტკირხის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში მოვიგერიეთ მოპირდაპირის მზვერავთა დიდი რაზმის იერიში. დანარჩენ ბრძოლის პირით არტილერიის დროგამოშვებით სროლაა.

ლონდონი. 7 იანვარი. ცნობა საღამოთი. გუშინ საღამოს მოულოდნელი იერიში მივიტანეთ სენლუსის აღმოსავლეთით. ორივე მხრით არტილერია მედგრად მოქმედებდა, მეტადრე ჩვენი მარჯვენა წვერით. სომას ჩრდილოეთით გავფანტეთ მოპირდაპირის მომუშავენი ნევშაპელის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ძლიერ დაუშინეთ მოპირდაპირის პოზიციებს ლაბასეს არხის მიდამოებში და გრენიეს ტყის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ლონდონი. 8 იანვარი, ოფიციალურად იუწყებიან: გუშინ საღამოს 7 საათზე, ისტენდში, ლონდონში ქარხანას, რომელიც ყუმბარებს ამზადებდა ცეცხლი გაჩნდა, რამდენიმე წუთის შემდეგ აფეთქება მოხდა. ბევრმა მუშამ მოასწრო და თავს უშველა. ქარხანა სრულიად დაინგრა. ძალიან დაზიანდნენ მახლობლად მდებარე ფაბრიკები და საწყობები; ახლო მდებარე სახლების სამი რიგი სულ დანგრეულია. მატერიალური ზარალი თვალსაჩინოა. ცეცხლის მქრობელი მანქანა განადგურდა და ორი ცეცხლის მქრობელი დაიღუპა. დახოცილთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ როგორც სჩანს არც იმდენად დიდია, როგორც უწინ გვეგონა. დაღუპულთა შორის მთავარი ქიმიკოსია. ოფიციალურად იუწყებიან, რომ აქამდის 30—40 გვამია ნაპოვნი. რამდენიმე კაცი ძლიერ დაშავებულია და ქარხანაც სავსებით განადგურებულია.

რუმინიის ამბები.

ოდესა. 6 იანვარი. აქ მოვიდა რუმინელი მაიორი პრედესკული, რომელსაც დავალებული აქვს წინასწარ გამოარკვიოს, შეიძლება თუ არა რუმინელ ახალგაზრდობის რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში მოთავსება.

ადესა. 8 იანვარი. რუმინიიდან მოსულთა ცნობით გალაცის რაიონში მდგომარეობა გაუმჯობესდა. მოსული რუმინიის მოხელენი ამბობენ, რომ მათ, დავალებული აქვთ ბინები აღმოუჩინონ რუმინიის ცენტრალურ დაწესებულებებს. ამისთვის არჩეულია ქალაქი ხერსონი და თუ ხერსონი არ გამოდგა, მხედველობაში აქვთ დონის როსტოვი. მოხელენი დაჟინებით ამბობენ, რომ ბინების ძებნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს დაწესებულებების გადმოყვანას, რადგანაც ჯერ საქმე აქამდის არ მისულა. ეს მხოლოდ წინასწარი ზომაა.

რუმინიის მემკვიდრის მოსვლა.

პეტროგრადი, 7 იანვარი. დღეს სწრაფი მატარებლით პეტროგრადს მოვიდა რუმინიის ტახტის მემკვიდრე პრინცი კარლოსი.

ათონის მონასტრების ოკუპაცია.

პარიზი, 6 იანვარი. სოლუნიდან იუწყებიან: რუსის და ფრანგთა რაზმი გადმოვიდა ათონის ნახევარ კუნძულზე და აქაური მონასტრები დაიპყრა, ზოგი მათგანის დაცვისათვის და ზოგს კიდე თვალყური უნდა ადევნოს, რადგანაც იგინი ვენიზელოსის საწინააღმდეგო აგიტაციის ბუდე არიან და გარდა ამისა მოპირდაპირის წყალქვეშა ნავებს სურსათ აწვდიდნენ. მონასტრებთა შორის 18 ბერძნებისაა, ერთი რუსების, ერთი სერბიელების და ერთიც ბულგაროელების.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუმინიაში.

„რუსკოე სლოვო“ იუწყება: კიევიდან ცნობა მოვიდა, მოკლე ხანში რუმინიიდან წამოვლენ მეფის ოჯახობა, წარჩინებული მოხელეები და დიპლომატები, რუსეთიდან რუმინიაში გაიგზავნა 10 საეკლესიო ვაგონი. რუმინიის სახელმწიფოებრივ დაწესებულებას ხერსონში გადაიყვანენ.

გერმანიის განზრახვა.

„უტრო როსიის“ იუწყება: გერმანიის მთავარ ბანაკში თათბირი გაიმართა, სადაც ჰინდენბურგმა მოხსენება წაიკითხა. როგორც სჩანს გერმანია დიდსა და მედგარ შეტევას ამზადებს აღმოსავლეთის ასპარეზით და ამისთვის ჰინდენბურგი დიდძალ ჯარს აჯგუფებს.

საბერძნეთი და ოთხთა შეთანხმება.

კოპენჰაგენიდან „რუსკია ვედომოსტ“-ის ატყობინებენ; „პოლიტიკენ“-ის ლონდონელ კორესპონდენტისათვის ავტორიტეტულ პირებს განმარტება მიუციათ საბერძნეთის და ოთხთა შეთანხმების ურთიერთობის თაობაზე. ავტორიტეტების აზრით ზოგიერთი ნეიტრალური პუბლიცისტი შემცდარია როდესაც საბერძნეთის ბედს ბელგიისას ადარებს. ალბად გაცნობილი არ არის საბერძნეთის კონსტიტუციასთან, რომლის დაცვა 1863 წლის ტრაქტატის ძალით რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა იკისრეს. ტრაქტატით ამ სახელმწიფოთ უფლება აქვთ იარაღითაც კი დაიცვან საბერძნეთის კონსტიტუცია. მეფე კონსტანტინემ არა ერთხელ დაარღვია კონსტიტუცია და იქამდისაც კი მივიდა, რომ თავისი ჯარი მიუსია მოკავშირეთ. უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ უკიდურეს ზომისათვის მიემართათ.

„მორნინგ პოსტ“-ის ცნობით გერმანიის სამხედრო აგენტი ფალკენჰაუზენი, რომელიც ამას წინად მოკავშირეთა მოთხოვნილებისამებრ გაძევებულ იქმნა ათინიდან, ეხლა კვლავ ათინაში დაბრუნებულა.

ვილჰელმის მოწოდება.

ამას წინად როგორც ვიცით ვილჰელმმა მოწოდებით მიმართა ხალხს. გაზეთები ფიქრობენ, რომ მოწოდება და ოთხთა შეთანხმება ვილსონისადმი პასუხი დიდს დემონსტრაციებს გამოიწვევენ გერმანიაში. სტუდენტები უკვე გაემზადნენ დიდი დემონსტრაციისათვის, მაგრამ პოლიციამ რაღაც მიზეზით აკრძალა დემონსტრაცია. სხვა და სხვა ფერეინები (კავშირები) ვილჰელმს უქვეშევრდომილეს ადრესებს უგზავნიან.

პოლონეთში

„რანეე უტრო“-ს ცნობით პოლონეთის სამეფო საბჭოს კრება გაიხსნა. გენერალ-გუბერნატორმა ბეზელერმა სიტყვით მიმართა საბჭოს და აღნიშნა საბჭოს დაარსება პირველი ნაბიჯია პოლონეთის დამოუკიდებლობის განხორციელებაში. საბჭოს ორგვარი დავალება აქვს; ერთის მხრით შეიმუშაოს პოლონეთის სამეფოს ახალი წესწყობილება და მეორეს მხრით უზრუნველჰყოს მისი დამოუკიდებლობა.

ავსტრიის გენერალ-გუბერნატორს გენერალ კუკს უფრო გარკვევით უთქვამს: პოლონეთს თავისუფლება ზევიდან კი არ მიენიჭება, არამედ თვითონ უნდა განახორციელოს თავისუფლებაო. ორივესათვის უპასუხნია ნემიევსკის და განუცხადებია: ცხადია პოლონეთში დაუყონებლივ შემოღებულ იქმნება საყოველთაო სამხედრო ბეგარაო.

თვითმართველობა პოლონეთის ქალაქებში.

„უტრო როსიი“-ს ცნობით ავსტრიელების მიერ დაპყრობილ პოლონეთის ოლქებში უკვე დაარსდა ქალაქთა თვითმართველობა. დღემდე თვითმართველობა შემოღებულია ლიუბლინში, პეტრაკოვში, რადომში და კელეცში. ნამდვილი ცნობა მხოლოდ ლიუბლინის და პეტროკოვის შესახებ არის მიღებული. ლიუბლინში არჩეულნი არიან; 36 ნაციონალ-დემოკრატი და ქრისტიან მუშათა კავშირის წარმომადგენელი, 16 წევრი ებრაელების კომიტეტისა და 8 სოციალისტი. პეტრაკოვში: დამოუკიდებლობის პარტიის 17 წევრი, ნაციონალ-დემოკრატი—16, ებრაელი—13 და სოციალისტი—3.

ამერიკა და პოლონეთი.

კოპენჰაგენიდან „უტრო როსიი“-ს ატყობინებენ: ვარშავაში ამერიკელ კონსულს მოუწვევია ყველა ნეიტრალურ სახელმწიფოს კონსული და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობის სახელით განუცხადებია: ამერიკის მთავრობა ომის გათავებამდე ოფიციალურად ვერ ალიარებს პოლონეთის სამეფოს, მიუხედავად ამისა მთავრობა ყოველ საკითხში, რომელიც კი პოლონეთის საქმეებს ეხება მიმართავს ან პოლონეთის მთავრობის ან და პოლონეთის სამეფოს საბჭოს.

საფრანგეთი.

გაზ. „რეჩ“-ს პარიზიდან ატყობინებენ: საპარლამენტო კომისიამ გადასწყვიტა ურჩიოს პარლამენტს, რათა უკანასკნელმა უარჰყოს მთავრობის წინადადება, რომლითაც იგი დეკრეტების გამოცემის უფლებას მოითხოვდა. კომისიის დადგენილებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კომისიის მოხსენება ამტკიცებს რამდენად ნაყოფიერი იყო პარლამენტის ჩარევა ომის წარმოების საქმეში. კომისიას ფაქტები მოჰყავს, რომლებიდანაც ცხადად სჩანს რამდენი შეცდომა იყო თავიდან აცილებული პარლამენტის წყალობით.

ფალკენჰაინი ათინაში.

ლონდონიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: მაკედონიის ბრძოლის პირით მყოფი გაზ. „სეკოლო“-ს სამხედრო კორესპონდენტის ცნობით ამ დღეებში გენერალი ფალკენჰაინი ავსტრიის წყალქვეშა ნავით კავალიდან ათინაში მისულა, უთათბირია მეფე კონსტანტინესთან და შემდეგ ათინიდან ლარიაში წასულა და ეხლაც თურმე იქ არის.

ვილსონის ახალი ცდა.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, ვილსონს გადაუწყვეტია კვლავ შეეცადოს და გერმანიას ზავის პირობები გამოაცხადებინოს.

საბერძნეთის პრესის აგიტაცია.

სალონიკიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ, ათინიდან უკანასკნელად მოსულ ცნობებიდან აშკარად სჩანს, რომ საბერძნეთის მთავრობა ჯერაც არ შესდგომია ოთხთა შეთანხმების მოთხოვნილების აღსრულებას. მთავრობის მომხრე პრესა დიდს აგიტაციას ეწევა ოთხთა შეთანხმების წინააღმდეგ.

გაზ. „კირიქსი“ პირდაპირ აცხადებს, რომ საბერძნეთს ურჩევნია აკროპოლს დაუშინონ ყუმბარა, ვიდრე შეუერთდეს ოთხთა შეთანხმებას. სალონიკის პრესის აზრით ათინის პრესის გამოლაშქრება მოწმობს, რომ საბერძნეთის მთავრობას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს არ შეასრულოს ოთხთა შეთანხმების მოთხოვნილებანი და მხოლოდ დრო მოიგოს მაკენზენის ჯარის მოლოდინში.

გერმანიის წყალ-ქვეშა ნავი.

გერმანიის ერთი წყალ-ქვეშა ნავი ჰოლანდიის ნავთსადგურში მოხვდა და დაატუსაღეს. ნავის უფროსმა განაცხადა სქელი ნისლის გამო შეცდომით შემოვედი ნავთსადგურშიო. ხელწერილი მისცა, რომ მას არავინ სდევნიდა. ჰოლანდიის მთავრობამ ამის შემდეგ ნავი გაანთავისუფლა.

ჩრდილო ამერიკის შტატების კანტროლი ზღვაზე.

კოპენჰაგენში დროებით მყოფ ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეს უთქვამს „ბერლინსკი ტიდენდე“-ს თანამშრომლისათვის, რომ მოსალოდნელია ამერიკისა და სკანდინავიის შორის საზღვაო ურთიერთობის წესის შეცვლა. მისი სიტყვით ფიც-ჯერალდის კანონპროექტი, რომლითაც აკრძალულ უნდა იქმნას ამერიკიდან სურსათის გატანა, კონგრესში ვერ გავა. წარდგენილ იქნება მეორე კანონპროექტი, რომელსაც კონგრესი ერთხმად მიიღებს.

სამი თვე სამაჰმადიანო საქართველოში

(დასასრული *)

16. ქართველ მაჰმადიანთა ნაკლი და გამირჯვება.

ამბობენ—მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასო, მაგრამ მდგომარეობაცა, რომ საზოგადოებას, ერს აბეჩავებს, აკნინებს, პიროვნებას უკარგავს და მრავალ უარისყოფ თვისებას უნეითარებს. შორს რად წავიდეთ? აი სამაჰმადიანო საქართველო, ეს კუთხე ის კუთხეა, რომლისაც ისტორიის ფურცლებს რაინდობა, ერთგულება, პირდაპირობა, ერის და მამულის სიყვარული აღუნიშნავს, დღეს კი... სამი საუკუნის მონურ მდგომარეობას, უცხო ერთან ურთიერთობას, უვიცობას—აქ პირმოთნეობა, ახირებული თავმოყვარეობა და მასთანვე სულმდაბლობა და შიში გაუმეფებია. ვინიდან გადმოკარგული სომეხი—დღეს აქ მეფეა, რომელიმე მაწანწალა ბერძენი—ბატონი, ვილაცა სოფლის რუსი მწერალი—მთელი საზოგადოების თავის სტვირზე ამთამაშებელი. და არსად ერთობა, არსად პირი, არსად ერთმანეთის ერთგულება და პირდაპირობა. საკმარისია გამოხტეს ვილაც მაწანწალა ავსტრიელი და ქართველ მაჰმადიანს შეუთვალოს—გამომიგზავნე შენი ძროხა, მომინდა რძით ყელის ჩაკოკლოზინება,—თორემ ციმბირს გაგაცილებინებო, რომ ძროხა მიჰგვაროს და მის წინ ლაჩრულად ქედიც მოიხაროს. საკმარისია ვინმე მაწანწალა მივიდეს ქართველ მაჰმადიანთან და უთხრას—მთავრობამ გაიგო, რომ შენ „ჩეთნიკად“ ყოფილხარ და რუსებისთვის გილალატნია, მომეცი 40 თუმანი, თორემ სახრჩობელა არ აგცდებაო, რომ გაჰყიდონ მარჩენალი საქონელი, გაჰყიდონ სახლ-კარი, ვალი აიღონ და „სალრჩობელიდან თავი დაიხსნან“... და არავინა ჰკითხულობს თუ რად? რისთვის? რაზე? მართლა ქვეყანა ჩალით არის დახურული თუ სიმართლის ნამცეცი მაინც კიდევ სადმე მოიპოვება?.. უფრო იმიტომ დამონებულა ეს ხალხი, რომ „კეთილისმყოფელნი“ მართლაც სიტყვას ასრულებენ, მთავრობასთან ასმენენ „ურჩებს“ და ციმბირისკენ ისტუმრებენ. ბევრი წასულა ამგვარად ცივ ქვეყნებისკენ, ბევრის კვრა გაცივებულა, მიდიან დღესაც... და დაშინებული ხალხი ძრწის, არჩევს სულის გაყიდვას ვიდრე ჩრდილოეთისკენ გამგზავრებას. სამწუხარო უფრო ის არის, რომ თვით ქართველ მაჰმადიანთა შორისაც მოიპოვებიან ძმის გამყიდველები და მოღალატენი. ორიოდ გროშზე ჰყიდიან თვის მოძმეთ და თავის დასჯას, თუნდ გადასახლებასაც კი თავისიანების დაბეზღებას ამჯობინებენ...

უმთავრესი ნაკლი ეს არის ქართველ მაჰმადიანების დღეს: არა აქვთ ერთობა, არ ენდობიან ერთმანეთს, სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირით გაიძახის ყველა და დუმილს არჩევს, ჰგონებია რომ მის თვალწინ სხვამ გაულაგოს ან მთელი მისი მოძმენი სალრჩობელაზე აიყვანონ...

თუ ქართველ მაჰმადიანთ ჰსურთ მდგომარეობა პატარა შეიმსუბუქონ და სხვა და სხვა წურბელისაგან თავი გაინთავისუფლონ, უნდა მეტი პირდაპირობა, ერთმანეთის ერთგულება, ერთობა გამოიჩინონ. უნდა ახსოვდეთ, რომ მათ უკან მთელი ქართველი საზოგადოება სდგას, მთელ ქართველ ერს მათკენ მოუპყრია თვალი და არავის ნებას არ მისცემს თვის მოძმეთ ვინმემ უსამართლოდ ხელი შეახოს. ქართველ მაჰმადიანებს უნდა ახსოვდეთ ესა და ყოველ გასაჭირში თავის უფროს ძმებს მიჰმართონ, ოღონდ იყვნენ ერთად, ერთ პირზე—და მოძმის პირი თავის პირად მიიჩნიონ...

17. ჩვენი ვალი.

1878 წელს შემოგვიერთდა სამაჰმადიანო საქართველო, 38 წლის შემდეგ დავიწყეთ მხოლოდ ზრუნვა მასზე. დანაშაული ჩვენი დიდია ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ცდა ნაპოვნ ძმებთან დაახლოვებისა მხოლოდ სიტყვით გამოიხატა, მოიარა სამაჰმადიანო საქართველო რამდენიმე კაცმა გ. ყაზბეგმა პ. უმიკაშვილმა, ზ. ჭიჭინაძემ, ნიანგის რამდენიმე ცრემლი ჩამოვაგდეთ, რამდენიმე მგრძნობიარე წერილი ვუძღვენით და... დავივიწყეთ. ბედმა დღეს სხვანაირად გადასჭრა. იძულებული შევიქენით მოვსულიყავით ამ მტრისაგან თუ „მოყვარისგან“ გადაბუგულ მხარეში, მოგვევლო თვალი დაქცეული სახლ-კარისათვის, გადამწვარ სოფლებისთვის, სისხლით შეღებილ მთა-ღელესთვის, გაგვეგონა პაწია აჭარელთა კვნესა და ტირილი, დედების ურვა და ვაში რომ დავიწყებული მოვალეობა მოგვაგონებოდა და სინანულის ცრემლი თვალზე ჩამოგვდენოდა. ნუ იქნების რომ ეს ცრემლი შემთხვევითი ყოფილიყოს! დეე ეს ცრემლი იყოს თავდები თუმცა დაგვიანებულ, მაგრამ მტკიცედ შეგნებულ მოვალეობისა!.. კმარა სიტყვა, კმარა ერთმანეთის პათეთიური მისალმება, კმარა ცრემლები! საქმეზე უნდა გადვიდეთ და მუშაობას მოვკიდოთ ხელი. დრო არ იცდის და ცოდვაა დაგვიანება. „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“, მაგრამ დაყოვნებითაც ციხე-ქალაქი არავის აუშენებია: მხოლოდ უნდა მოვიდეთ ნელა, ფრთხილად, დინჯად... კარგად გავიგოთ ერთმანეთის გულის-ნადები, ნაფიქრი, ერთმანეთის ხასიათი, ზნე, ჩვეულება, ადათი, რათა ძმებ შორის დამყარდეს უწინარეს ყოვლისა ურთ-ერთის **სრული ნდობა**. „ჩვენი სალმრთო მოვალეობა არის,—სწერდა ს. მესხი „დროებაში“ 1878 წელს,—კარგად გავიცნოთ ეს ახლათ შემოერთებული ჩვენი თანამოძმეები და იმათაც გავაცნოთ ჩვენი თავი. უამისოთ ჩვენ შორის ერთობა ნამდვილი ძმობა, ერთი ხალხის შვილობა თავის არ ჩამოვარდება. როგორც ერთის საქართველოს შვილნი, როგორი თანამოძმენი ვიქნებით, თუ ერთმანეთისას ვერას გავიგებთ, თუ ერთმანეთის ჭირი და ლხინი, ბედი და უბედობა, ავი და კარგი არ გვეცოდინება?“ უამისოდ ერთობაზე ლაპარაკი, ღვიძლი ძმობის მტკიცება ფუჭი, თავის მოტყუილება იქნება. უწინარეს კი ფრთხილად უნდა მოვექცეთ მათ სარწმუნოებას და ზნე-ჩვეულებას. ამას წინად ბათომში, მაღაზიაში, ერთ ქართველ „მისიონერს“ ეთქვა: ქრისტიანობა უნდა გავავრცელოთ სამაჰმადიანო საქართველოში და მაჰმადიან ქალებს სახეზე რიდე ჩამოვხსნათო. ქართველი მაჰმადიანი ერთგულია თავის სარწმუნოების და ადათ-ჩვეულებისა და წარმოიდგენთ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს სიტყვები იქ მყოფ მაჰმადიანებზე. აღშფოთებული მთავრობის ანაფორიან ქართველ აგენტის ასეთი წინდაუხედაობით, მივაქცევთ ქართველი საზოგადოების და პრესის ყურადღებას ამ მახინჯ მოვლენაზე.

სარწმუნოება, როგორცა ვთქვით წინა წერილში, სინიდისის საქმეა და არავისა აქვს უფლება ადამიანის ამ განძს შეახოს ხელი. უნდა დავარწმუნოთ ქართველი მაჰმადიამაღიანები, რომ ამ კრედოს ჩვენ არ ვულალატებთ და პირიქით, შევებრძოლებით ყველას, ვინც მათ სარწმუნოების და ზნე-ჩვეულების შელახვას მოინდომებს.

მეორე უნდა გამოვგზავნოთ აქ, მომზადებული, ფრთხილი, დინჯი ხალხი. ნიადაგი ნოყიერია და კულტურტრეგერიც სათანადო უნდა. კარგად დაწყებული საქმე მალე სასწაულს მოახდენს, შემცდარი ნაბიჯი კი ერთმანეთს უფრო დაგვაშორებს.

ბუნება უხვია, მადლიანი, მაგრამ სჭირია მოვლა და დამუშავება. ხალხი მუშაობის პრიმიტიულ წესს ვერ გასცილებია, ან და სულ მიუნებებია, მამულისთვის თავი და „კავეზე“ ან დუქანში ატარებს დროს ნარდის თამაშსა და თუთუნის წევაში. ეჭირვებათ მას ცოდნა, იარაღი, სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, კოოპერატივი...

უნდა ავუხვიოთ გვერდი ჩვენს ქინიანობას და პარტიული ფანატიზმით ეხლავე არ მოვწამლოთ ეს წამებული კუთხე. ამის ნიშნები კი უკვე სჩანს და ეს დასაგმობია. ამ ზაფხულს ი. კეროსელიძეს ერთი ქართველი მაჰმადიანი სწერდა: იასონ ეფენდი. ჩვენი მასწავლებელი ძალას გვატანს—„აზრი“ იკითხეთო, ჩვენ კი „სახალხო ფურცელი“ გვინდა. მოგვიხერხე როგორმე „სახალხო“ მოგვდიოდესო. ოქტომბერში ერთი ქართველი მაჰმადიანი მენვია, გამეცნო და თავიანთ ყოფა-ცხოვრებაზე საუბარი ჩამომიგდო. მერმე ქრისტიან-ქართველებზე გადავედით. სხვათა შორის მკითხა: ჯანუმ, ეხლახანს ტფილისში ვიყავი, დავიარე ქართული გაზეთის რედაქციები, გავეცანი ქართველობას. სხვათა შორის ერთგან დამიწყეს რწმუნება—„სახალხო გაზეთი“ დაიხურება და „საქართველო“ და „აზრი“ დარჩებაო. შენ ნასწავლი ეფენდი ხარ და მითხარი, რად უნდა მოხდეს ასეო. ისე მივხვდი, რომ ჩვენი ქრისტიანი ნასწავლი ძმები ერთმანეთში უნდა „კინტრაობდნენო“ (ჩხუბობდნენო).

გული მატკინა მაშინ ამ სიტყვებმა, გულის ტკენითვე ვწერ ამ სტრიქონებს ეხლაც.

ნუ გამოვიჩენთ ეხლა მაინც ჩვეულებრივ ქინიანობას და პარტიული საზომით ნუ მოვალთ ამ კუთხეს, რომელსაც საღი აზრი, ძმური სიტყვა უფრო ესაჭიროება, ვიდრე პარტიული ორტოდოქსობა და ფანატიზმი. დეე იცინონ ისე, როგორც აქამდე იცინოდნენ, იაზროვნონ ისე, როგორც ეხერხებათ, იკითხონ ის, რაც მოსწონთ. პარტიულ პროგრამებს ნუ ჩავუჩეჩავთ ხელში და საყვედურით ყურს ნუ გამოვუჭედავთ, რომ წინაპართ არა ჰგავანან და ძველი მესხი დღევანდელ ლატაკ, უვიც აჭარელამდე ჩამოქვეითებულა. დრო თავისას იზამს და ქართველი მაჰმადიანი გათვითცნობიერებული აღსდგება დღევანდელ სამაჰმადიანო, განაწამებ, მტრისაგან აოხრებულ კუთხის ნანგრევებზე, მაჰმადიანი, ერთგული თავის სარწმუნოების, მაგრამ თვის ერის, საქართველოს ერთგული და მოსიყვარულე შვილი.

ჩვენ ამის მეტსაც არას ვინატრით რაც შეეხება სადღეისო ზრუნვას, უნდა ვსთქვათ, რომ სამაჰმადიანო საქართველო დიდ ქონებრივ გასაჭირს განიცდის, უფრო დიდია ზნეობრივი ტანჯვა. მთავრობა ბნელ ხალხს იჭვის თვალით უყურებს, ლალატსა სწამებს, ხალხი შეშინებულია, ენა-ჩავარდნილი, მდუმარე... ამის გამო სხვა და სხვა მოხელეს, პარაზიტს, წურბელას ვაკხანალია და ზეიმი აქვს გამართული ხალხის ზურგზე. ხალხი იყვლიფება ქონებრივად, ტყდება სულიერად, უფრო დაბლა, უსიტყვოდ ჰხრის ქედს. ეჭირვებათ გამხნევება, ძმური სიტყვა, პატრონობა და მეც, როგორც დავიწყე „ივერიის“ სიტყვებით, იმავე სიტყვებით დავათავებ:

„ქართველობავ... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთან მოვიდნენ“...

ხანგანიძე.

---

*) იხ. „სახ. ფურცელი“ № 764.

უკანასკნელი კანონი შვეციის მიერ გამოცემულ კანონს ემგზავსება და მისი მიზანია აიცილოს უცხოელთა ჩარევა ამერიკის ვაჭრობაში. კანონის მიზანი ინგლისის მიერ შექმნილ ბლოკადის შესუსტება კი არ იქნება, არამედ ამ კანონის ძალით ზღვაზე კონტროლი ინგლისმა ამერიკას უნდა დაუთმოს. განზრახული აქვთ მჭიდროდ შეაკავშირონ ამერიკის კონტროლი და სკანდინავიის სახელმწიფოთ სავაჭრო ორგანიზაციები.

ახალი ამბავი

✦ **აკ. ჩხენკელის ავადმყოფობა.** პეტროგრადიდან მოსულ ცნობებით დეპუტატ ჩხენკელის ავადმყოფობა გართულებულა. 6 იანვარს ექიმთა კონსილიუმს ავადმყოფის მდგომარეობა საშიშრად უცვნია. ეშინიათ ვაი თუ გულმა უმტყუნოსო. ავადმყოფი ხან და ხან მოდის მხოლოდ გონს და მუდამ სიცხე აქვს.

✦ **ნინოობა.** 14 იანვარს, ნინოობა დღეს, ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოება ტრადიციულ საღამოს მართამს. საღამოს პროგრამა ასეთია: 1) „სამშობლოს“ უკანასკნელი სურათი, 2) „რუსთველის“ მეორე მოქმედება, 3) „პატარა კახის“ მეორე მოქმედება და 4) აპოთეოზი. მონაწილეობას იღებენ ქართველი მსახიობნი. ბილეთები იყიდება: დილით „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, ხოლო საღამოს—„ძმურ ნუგეშში“.

✦ **საქვიათ სკოლა.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების ჩოხატაურის განყოფილებას განუზრახავს, ჩოხატაურში საქვიათ სკოლა დაარსოს. ეს განზრახვა უკვე ეცნობა მთავარ გამგეობას.

✦ **ამიერ-კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის** საქმეთა გამო პეტროგრადს გაემგზავრნენ ვ. ა. გოთუა და ნ. ე. წვერავა. მათ, როგორც ხმოსნებს, ტფ. ქალაქის თვითმართველობის მიერ დავალებული აქვთ, იშუამდგომლონ, რათა ტფილისში ჩქარა იქმნეს შემოღებული საფუთო გადასახადი რკინის გზით ტფილისში შემოტანილ საქონელზე.

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობა უკვე შეუდგა 1917 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენას.

✦ **ახალი ბიბლიოთეკები.** პარუჩიკი ივანე ვასილის ძე სვანაძე ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების წინაშე შუამდგომლობს, რათა ქუთაისის მაზრის სოფელ საყულიაში ბიბლიოთეკა დაარსოს იქაური სკოლის მასწავლებლის ნინა სვანაძის პასუხისმგებელ გამგებლობით. ბიბლიოთეკის შესანახს ხარჯს თვით ბ-ნი ივ. სვანაძე კისრულობს.

წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართონ მას, დაარსოს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბუხლიეთში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო იქაური მღვდლის გ. ცინცაძის პასუხისმგებელ გამგებლობით.

✦ **განსვენებულ სტეფანე ჭრელაშვილის** ნაცვლად ქალაქის საბჭოს ხმოსნად მიიწვიეს პირველ საარჩევნო უბნის უფროსი კანდიდატი თ-დი ა. ა. ბებუთოვი.

✦ **თეთრბილეთიანები.** ქალაქის სამხედრო საკრებულო გუშინდლიდან შეუდგა 1907—1906 წლების თეთრბილეთიანების შემოწმებას,

✦ **განსვენებულმა აბგარ ანანოვმა** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას 5,000 მან. უანდერძა. ამდენივე უანდერძა ბაღდადის პირველდაწყებით უმაღლეს სკოლას.

✦ **ქართველები სპარსეთში.** როგორც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ატყობინებენ, ისპაჰანის რაიონში ამ ჟამად 14 სოფელია, რომელიც დასახლებულია განსაკუთრებით ქართველებით. მათი რიცხვი 50,000 სულს უდრის; სარწმუნოების გარდა ყველაფერი ქართული შერჩენიათ დღემდე. ყველა ქართულად ლაპარაკობს. ქალები ჩადრებს არ ატარებენ. სწავლა კი მათ სკოლებში სპარსულ ენაზე სწარმოებს.

✦ **ჰანეთის მდგომარეობა.** ამ დღეებში ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის საგანგებო კრება გაიმართება, რომელიც მოისმენს საქვ. საზოგადოების ბათომის განყოფილების მდივნის ბ-ნ კობახიძის მოხსენებას ჰანეთის მდგომარეობის შესახებ.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** ახალ გამგეობის კრება გაიმართება ხვალ, 11 იანვარს.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** საავადმყოფოების გამგე ექიმი ბენაშვილი ტფილისს ჩამოვიდა საავადმყოფოების საქმეთა გამო.

სოფლად და ქალაქად

ქუთაისი.

✦ უკვე ნახევარი ფურცელი და ისიც დაპატარავებული ფორმატით გამოდის ადგილობრივი სარეკლამო ფურცელი „Кут. Вѣсти“ ამბობენ იგი მალე დაიხურებაო.

✦ ანტრეპრენიორმა მირანოვმა თხოვნით მიმართა დრამატიული საზოგადოების გამგეობას რათა დაუთმოს მას საგაზაფხულო სეზონისათვის ქალაქის თეატრი, სადაც სისტემატიურად წარმოდგენებს გამართავენ რუსული დრამის მსახიობნი.

✦ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ გუბერნატორისაგან მოწერილობა მიიღო, რომ ოქმი იმ ვაჭრების შესახებ, რომელნიც სპეკულიაციას ეწევიან, საქონელს ნიხრს წევით ყიდიან და 16. ყოველთვის სასამართლოს გადაეცეს ვინაიდან აწი სპეკულიატორის სასამართლოს ჩვეულებრივი წესით დაისჯებიან და არა ადმინისტრაციის ძალითაო.

✦ დეკემბრის მეორე ნახევარში ბარათებით თვითმართველობამ თითო სულზე დაარიგა სამ-სამი გირვანქა შაქარი. იანვრის პირველ ნახევარში გირვანქა ნახევარი სულზე და მომავლისათვის განზრახვა აქვთ ესეც შეამცირონ.

✦ ქუთაისის სხვა და სხვა უწყებათა მოხელენი აარსებენ კოოპერატივს. დროებით გამგეობაში არჩეულნი არიან სახაზინო პალატის უფროსი სობრიევსკი, ივანოვი, ასათიანი, გორბუნოვი და მანუილოვი. წესდება ამ დღეებში დამტკიცდება.

✦ დასავლეთ საქართველოს ლიტერატორთა მიერ პირველმა პირმა გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინეს წესდება ხსენებული საზოგადოებისა.

ჭიათურა

✦ შავი ქვის წარმოება რამოდენიმედ შეფერხებულია. თუმცა აქა-იქ არის მუშაობა, მაგრამ მუშათა მდგომარეობა აუტანელია; მწყობრი ამოძახილი თავის დასაცავად მოუხერხებელია, რადგანაც მრეწველები სამხედრო სამსახურით აშინებენ მუშებს.

ბათომი.

✦ 10 იანვარს აქ გაიმართება წარმოდგენა მსახიობ ელ. ჩერქეზიშვილის საიუბილეოდ. წარმოდგენილი იქნება „ხანუმა“ იუბილიარის და ვასო აბაშიძის მონაწილეობით.

✦ 14 იანვარს გაიმართება საღამო წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ. სხვათა შორის იქნება ქართული ოპერეტი ვასო აბაშიძის, ტასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის, მგალობლიშვილის და პოლ. ფალიაშვილის მონაწილეობით.

ფრესკების გამოფენა

8 იანვარს, კვირას დიდების ტაძარში გაიხსნა ქართულ ტაძრებიდგან გადმოღებულ ფრესკების და სხვა და სხვა ისტორიულ ნაშთების სურათების გამოფენა. გამოფენა გამართულია ქართულ საეთნოგრაფიო და საისტორიო და ახლად დაარსებულ ქართველ ხელოვანთა საზოგადოების მიერ.

ნაშუადღევის პირველ საათზე საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-ნმა ე. თაყაიშვილმა რუსულად წაიკითხა ლექცია ფრესკების შესახებ და გამოფენა გახსნილად გამოაცხადა. ლექციაში ბ-ნმა თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთების აზრით ფრესკები ქართულ ხელოვნებაში მერე, ბოლო ხანს შემოსულა და სრულიად არ შეადგენს ქართულ ტაძრებისათვის აუცილებელს და დამახასიათებელს. ასეთი აზრისა იყო. მაგალითად გრაფინია უვაროვისა. მაგრამ ლექტორმა შეცდომად აღიარა ეს აზრი და დასძინა, რომ ჩვენ მოგვეპოვება უძველესი ფრესკა 853 წელს დახატული, რაიც მოწმობს, რომ საფრესკო ხელოვნება ძველთაგანვე ყოფილა საქართველოში, შემდეგ ლექტორმა აღნიშნა ბიზანტიური ხასიათი ფრესკებისა და ისიც სთქვა, რომ ქართველობას მასში თავისი ინდივიდუალობა შეჰქონდა. ბოლოს დასძინა, რომ ახლანდელ გამოფენაზე ის ფრესკებია, რომელთაც რაიმე საფრთხე მოელოდა. ჰქრებოდა, ფუჭდებოდა და უეჭველად საჭირო იყო მისი საჩქაროდ გადაღებაო. ამით აიხსნება, რომ აქ ვერც ქრონოლოგია იქნება დაცული, ვერც სისტემაო.

ფრესკები გადაღებულია ქართველ მხატვრების; მ. თოიძის, შევარდნაძის, ნორვეგიულ მხატვრის კრონის, მ. გუდიაშვილის, კაკაბაძის, ერისთავის და სხვათა მიერ.

ხალხი გამოფენის გახსნას და ლექციის აურებელი დაესწრო, თითქმის მთლად გაჭედილი იყო დარბაზი და ყურადღებითაც მოისმინა ლექტორის სიტყვა. ფრესკებმა ძალიან დააინტერესა ხალხი. გამოფენა კარგახანს გაგრძელდება, შესვლა შეიძლება 10 საათიდამ ნაშუადღევის 4 საათამდე.

სენკევიჩი და პოლონეთი

(შემდეგი *)

პოლონეთი იღვიძებდა და სდგებოდა, მაგრამ არა აჯანყებისათვის, არამედ თვით ორგანიზაციისათვის, მუშაობისათვის, გარშემო გამეფებულ პირობებთან საბრძოლველად, თავის ნაციონალურ თავისებურობის და თავის სოციალურ-პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დასაცველად. განსაკუთრებით ხალხის ეს მოძრაობა ძლიერი იყო „დიდ პოლონეთში“, ე. ი. იმ ოლქებში, რომელნიც რუსეთის პოლონეთის გარეშე იყვნენ. აქ მუდმივი, შეუჩერებელი, ყოველ წუთიერივი ბრძოლა იყო გამართული საკუთარ მიწა-წყალისათვის. მხატვრული ლიტერატურა უკვე ჰხატავდა პოლონელ გლეხის ტიპს, თავის ნაჭერ მიწასთან სტიქიურად დაკავშირებულს და იმ ბრძოლას, რომელიც ამასთანავე იყო ბრძოლა პოლონეთის ხელუხლებლობისა და თავისუფლებისათვის. კარლ მიარკა, სახალხო მასწავლებელი ჩადგა ამ მოძრაობის ცენტრში, იგი ფართო მასის საყვარელი იყო, მისი ინტერესების წარმომადგენელი და დამცველი. მოკლე ხანში მან საშინლად გაითქვა სახელი, იგი გარდაიქცა პოლონელ სილვიო პელიკოდ. ყოველი მხრიდან მიდიოდა შემოწირულება (რასაკვირველია მთავრობისაგან აკრძალული) პოლონეთის საყვარელ მოძრაობისათვის. ეს მოძრაობა სასოებით ავსებდა ხალხის გულს ამდენი იმედის გაცრუების და სისხლის მსხვერპლს შემდეგ. მასარკოს მოჰყვება მეორე სახალხო მასწავლებელი კონრად პრუშინსკი, შესანიშნავი პიროვნება, განმსჭვალული არაჩვეულებრივი ენერგიით და ღრმა იდეალიზმით, დაუმარცხებელ ძლიერი რწმენით, რომ პოლონეთის „ხალხი“ გაიმარჯვებს და თავისუფლებას მოიპოვებს. იგი სცხოვრობდა ბელორუსიაში და ოცნებობდა „დიდებულ, ძლიერს და ხალხურ“ პოლონეთის თაობაზე. იგი სულით მოისწრაფოდა პოლონეთისაკენ, თავის დაჩაგრულ სამშობლოსაკენ. მისი გული სავსე იყო იმ სულის განწყობილება-მისწრაფებით, რომლითაც სავსეა ყოველი პოლონელის გული და რომლის შესახებაც ასე კარგად მოგვითხრობს თავის ნაწარმოებებში ელიზა ოჟეშკო და რასაც მშვენიერად უგალობდა შემდეგში კონოპნიცკაია თავის პოემა „პან ბალცერში“ და როცა პრუშინსკი ვარშავას გადავიდა, იგი მთლად ხალხის სამსახურს მიეცა. საბრძოლველ იარაღად მან მოიმარჯვა პოლონური ანბანი, რომლითაც იგი მიდიოდა ხალხში და თავის დროშის ირგვლივ შემოიკრიბა მრავალი ხალხი, მისი სახელი ხალხის განათლების სიმბოლოდ გარდაიქცა. პრუშინსკის ბევრი დაბრკოლება გადაელობა წინ თვით პოლონეთის საზოგადოების მხრივაც. პრუშინსკიმ შექმნა ხალხური ბეჭდვითი ორგანო მიასკის მსგავსად და მოკლე ხანში იგი საოცრად გავრცელდა. გალიციაში კი ამავე დროს გაცხარებული და ფანატიკოსური ქადაგება იყო განათლებისა. ბოლესლავ ვისლოუხი, ერთი საუკეთესო და შესანიშნავი წარმომადგენელთაგანი „ნაროდნიკებისა“, რომელთა მიზანს შეადგენდა, პოპლავსკის სიტყვები რომ ვიხმაროთ; „ხალხის ნაციონალიზაცია“, ვისლოუხ საოცარი ორგანიზატორი და საკვირველად ენერგიული საზოგადო და საპოლიტიკო მოღვაწე იყო. მან ამას გარდა შექმნა მთელი ნაროდნიკული პროგრამა, რომელიც საფუძვლად დაედვა გლეხობის მაშინდელ მოძრაობაც. და ეს მოძრაობაც გალიციაში თანდათან იზრდება და გარდაიქცევა სერიოზულ სოციალ-პოლიტიკურ ძალად, რომელსაც ანგარიშს უწევს ყველა პარტია და სახელმწიფოც.

გალიციიდან ეს მოძრაობა გადმოდის პოლონეთის სამეფოში და აკავშირებს გლეხობას. მთელს პოლონეთს მოედო მოძრაობა და მას მიემხრნენ პარტიები, ინტელიგენცია, პრესა და ახალგაზდობა. ამ მოძრაობას სერიოზობას და ძლიერებას მოწმობდა ორი ყრილობა—ლვოვისა და ვარშავისა. „მიწის მუშათა ჯგუფი“ ბევრს მუშაობდა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობისათვის; ამისთანა ჯგუფები ძლიერ გახშირდა ყველგან, ამ ჯგუფების გამოცემები სწრაფად ვრცელდებოდა და სპეციალურად ხალხისათვის გამოცემული ჟურნალ-წიგნაკების ტირაჟი ყოველთვის აღემატებოდა იმ გაზეთების ტირაჟს, რომელიც ქალაქელთათვის გამოიცემოდა. დემოკრატია პოლონეთის საზოგადოებრივ საეკონომიო განვითარების ცენტრში ჩადგა, ეს მით უფრო მოხდა ასე, რომ გლეხობის გაძლიერებასთან ერთად ქალაქებში იზრდებოდა მუშათა მასსა. ლოძსა, სოსნოვიცსა, ვარშავაში იგი გამოდიოდა თავის კლასიურ შეგნებით შეიარაღებულ-დარაზმული და გარკვეულ მოთხოვნილებებით. მან შეადუღა თავისი სოციალური იდეალები ნაციონალურ მოთხოვნილებებთან, იგი აღიარებდა ნაციონალურ იდეალებს, რომელსაც მთელი პოლონელობა გაეერთიანებინა; მაგრამ ისინი უარყოფდნენ პარტიათა უმრავლესობის სოციალურ იდეალებს, გავლენას ახდენენ, და ნაციონალურ გრძნობებში მათ შეაქვთ მეტი დემოკრატიზმი როგორც სოფლად ისე ქალაქად. და ამ დემოკრატიულ მასსის გავლენით ხალხზე ლაპარაკი დაიწყეს არამც თუ ნაციონალისტურმა წრეებმა, არამედ არისტკრატიამაც კი. ისინი გაჭირვების დროს მიმართავენ ხალხს, მოუწოდებენ მისი უფლებისათვის საბრძოლველად, ეძებენ მის ყურადღებას და დახმარებას. ამნაირად პოლონეთში მომწიფდა დემოკრატიული ნაციონალიზმი, რომელიც გამოიხატებოდა ნაციონალურ გრძნობის გაღრმავებით და გაძლიერებით.

ამ ხანებში სამშობლოსა და პოლონეთის სიყვარულს ლაპარაკობდნენ ყველა ბეჭდვითი ორგანოები. სამშობლოს სიყვარულს ლაპარაკობს სოციალისტური გაზეთი „ერთობა“, რომელიც 1881 წელს გარდაიქცა „პროლეტარიატის პარტიის“ ორგანოდ. სამშობლოს და პოლონეთს ხალხისათვის მიუცილებელ ჰაერად სთვლიან „პოზიტიკისტები“, სოციალიზმის მტრები, რადიკალურ ლიბერალიზმის შემქმნელნი თავის ორგანო „პრავდათი“. ხალხზე ალტყინებით სწერენ პოლონელი ნაციონალისტები, რომელნიც გაერთიანდნენ „რეალისტების პარტიის“ გარშემო, პოლიტიკური ოპორტუნისტები, მსხვილი მემამულენი და კლერიკალები თავის ორგანო „კრაიში“, რომელსაც პეტროგრადში გამოსცემდნენ მშვენივრად და ხელოვნურად. დაბოლოს, ვარშავაში გაჩნდა ცნობილი „გოლოს“, ბეჭდვითი ორგანო, რომელმაც გააერთიანა თავის გარშემო ყველანი, ვინც კი აღიარებდა: „ხალხის ინტერესებს უნდა დაუქვემდებარდეს ინტერესები ყველა კლასებისა და საზოგადოების წრისა“. ორგანოს სათავეში ჩაუდგნენ ისეთი შესანიშნავი ადამიანები, როგორიც იყვნენ პოტოცკი, პოპლავსკი, დიჰასინსკი, ჭეშმარიტი აღმზრდელნი „დემოკრატიულ პატრიოტიზმისა“, თავგანწირულად მომუშავენი, გულფიცხნი და ნათელგონებიანი ხალხი. მათთან მუშაობდნენ სხვა და სხვა რწმენის და მიმართულების ადამიანები, მაგრამ გამსჭვალულნი ღრმა დემოკრატიზმითა და სამშობლოს დიდი სიყვარულით. აი, როგორ განმარტა „გოლოსის“ რედაქციამ თავისი მიზანი: „ჩვენი ორგანოს უმთავრესი პრინციპი, მისი ხელმძღვანელი აზრი არის დაქვემდებარება ცალკე კლასების ინტერესებისა ხალხის ინტერესებისათვის, მოწოდება ხალხისა ნაციონალურ ცხოვრების ისეთ ფორმებისაკენ კი არა, რომელიც შექმნია ევროპაში უკვე გაქრობის და სიკვდილის გზას დამდგარს „წოდებრივ“ ცივილიზაციას და რომელიც არ ეთანხმება ახალი ისტორიის სულს, არამედ ისეთის ფორმებისაკენ მოუწოდებთ, რომლამდისაც ხალხს შეუძლიან მივიდეს ბუნებრივი განვითარების გზით, საკუთარ კულტურის საფუძვლიან განვითარებით, მოუწოდებთ ხალხს, რომელსაც შეუგნია თავისი საკუთარი მისწრაფებანი და იდეალები... სწორედ „გოლოსის“ ხმა ეწყობა ახლად გაღვიძებულ საზოგადოების ჯერედ გაურკვეველ ხმას, იგი გაკვანძულია სამშობლოს საუკეთესო შვილთა მისწრაფებასთან. ყველა ამაზე ემყარება ჩვენი ჟურნალის მომავალი არსებობა და მას აცოცხლებს რწმენა, რომ იგი ნამდვილი გამომხატველია ახლანდელ დროების მოთხოვნილებათა“.

არსებითად ეს მთელი პოლონეთის პროგრამა იყო. თუმცა ძლიერ განსხვავდებოდა გარეგნად პოლონელთა ჯგუფების და პარტიების პროგრამა-მიზნები, ისინი ბოლოს და ბოლოს მაინც ერთსა და იმავეს ლაპარაკობდნენ სხვა და სხვა სიტყვებით. მართლაც, მთელი პოლონეთი იმ დროისა, როგორც მერეც, იბრძოდა გლეხისა და მუშისათვის და სამართლიანად ჰხედავდა მათში რეალურ ძალას „ახალი პოლონეთის“ შესაქმნელად. მთელი პოლონეთის საზოგადოება სცდილობდა განემტკიცებინა ნაციონალური იდეალი და შეეთანხმებინა ეს იდეალი საკუთარ ეროვნულ კულტურის განვითარებასთან. განსხვავდებოდა მხოლოდ გზა და არა მიზანი. მთელი პოლონეთი წარმოადგენდა დიდ არმიას, გაერთიანებულს ერთის გრძნობით და ერთის მიზნით გატაცებულს, მაგრამ თუ იყო განსხვავება, ეს იყო განსხვავება იარაღებისა. მათ შორის ხანდახან ბრძოლაც იმართებოდა, მაგრამ ყველას ერთი სათაყვანებელი რამ ჰქონდათ: თავისუფალი პოლონეთი. „დამოუკიდებელი პოლონეთი“—აი, მიზანი, რომელმაც ყველანი გააერთიანა. აი, ის აღთქმის ქვეყანა, საითკენაც მიიწევდა მთელი პოლონეთის გული. ეს იდეალი აღაფრთოვანებდა, აღატყინებდა პოლონეთში ყველას ცალკე და ყველას ერთად.

ნ. დუბროვსკი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „სახ. ფურც.“ № 764

უმაღლესი რესკრიპტი

პრემიერ-მინისტრს.

პეტროგრადი, 7 იანვარი. უმაღლესი რესკრიპტი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თ-დ გოლიცინისადმი.

თ-დო ნიკოლოზ დიმიტრის ძევ. დაგაკისრეთ რა თქვენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პასუხსაგები მოვალეობანი, საჭიროდ მიმაჩნია მიგითითოთ იმ უმაღლეს საკითხებზე, რომელთა გადაჭრისაკენ უნდა იყოს მიმართული მთავრობის უმთავრესი ზრუნვა და ყურადღება. ამ ჟამად, დიდი ომის ღირსს მოტრიალების ჟამს, ყველა რუსეთელის ყურადღება, გაუხრელად ეროვნებისა და წოდებისა მიმართულია სამშობლოს გმირ დამცველებისაკენ, რომელნიც მოელოდინში არიან იმისა, როცა მიეცემათ საშუალება ჩვენ ერთგულ მოკავშირეებთან ერთად მტერს შეუტიონ და ფიქრადაც არა აქვთ საბოლოო გამარჯვებამდე ხმლის ჩამოგდება. მე ღრმადა მწამს, რომ რუსის ხალხი, რომელიც თავგანწირულად ეწევა ომის ტვირთსა და უღელს, აასრულებს თავის მოვალეობას ბოლომდე, არ შეჩერდება არავითარ მსხვერპლის წინაშე, ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენი სამშობლოსი უთვალავია და ადვილად შეგვიძლიან თავიდან ავიცილოთ ის შიმშილობა, რომელიც ეტყობა, უკვე სწვევია ჩვენს მოწინააღმდეგეებს. მაგრამ მით უფრო საჭიროა სასურსათო საქმის მოწესრიგება, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს არსებულ პირობებში. ამიტომ უპირველეს ვალად ვადებ თქვენს ბეჯით გაერთიანებულ მთავრობას იზრუნოს ჩემი გმირი არმიის სურსათით უზრუნველსაყოფად და აგრეთვე ზურგს უკან სურსათ-სანოვაგის საქმის არევ-დარევის, რომელიც აუცილებელია მსოფლიო ომის დროს,—თავიდან ასაცილებლად. მე მოველოდინე ვარ, რომ სამისოდ მიღებული ზომები მოგროვილი იქნება მთელი მთავრობის ხელში. ჯარისა და ხალხის სურსათ-სანოვაგის უზრუნველსაყოფად საჭიროა შეთანხმება ყველა უწყებათა, როგორც ფრონტისა ისე იმ უწყებებისა, რომელნიც არიან მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით. მეორე საქმე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს—ეს არის რკინის გზის მიმოსვლის და გადაზიდვ-გადმოზიდვის მოწესრიგება. მინისტრთა საბჭომ ამ დარგისათვის უკიდურესი ზომები უნდა მიიღოს, რომ ვისარგებლოთ ყოველგვარ გადაზიდ-გადმოზიდვის საშუალებით და დაწესდეს მტკიცე გეგმით წარმოებული გადაზიდვ-გადმოზიდვა ჯარისა და ხალხისათვის ყველა საჭირო საგნებით უზრუნველსაყოფად—ყველა უწყებათა შეთანხმებით. წინასწარ გისახავთ რა მომავალ მუშაობას, მე მინდა დავაჯერო, რომ თქვენის თავმჯდომარეობით გაერთიანებული მინისტრთა საბჭო იპოვის დახმარებას სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს მხრით და ყველას გააერთიანებს შეუკავებელი სურვილი ომის ძლევამოსილად დათავებისა. ჩემ მიერ სახელმწიფო სამსახურისათვის მოწოდებულ პირებს პირდაპირ მოვალეობად ვადებ კეთილგანწყობილება, გულახდილი და ღირსეული ურთიერთობა ჰქონდეთ საკანონმდებლო დაწესებულებებთან რუსეთის სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგების საქმეში. დაუფასებელი დახმარებას გაუწევენ მთავრობას ერობები, რომელთაც თავისი მუშაობით, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის გაჭირვების დროს დაამტკიცეს, რომ მათში მტკიცედ ინახება საერობო ცხოვრების ის პირობები, რომელიც ჩემმა დაუვიწყარმა პაპამ, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ, საერობო ცხოვრების მოსაწესრიგებლად აღიარა.

დავშთები მარად ჟამს თქვენდამი კეთილგანწყობილი.

ნამდვილზე მის იმპერატორობით უდიდებულესობას საკუთარი ხელით უწერია **ნიკოლოზ**.

ცარსკოე სელო, 1917 წლის 6 იანვარი.

ქართული თეატრი ბათომში.

ჩვენ წინათაც ვსთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ქართულ წარმოდგენებს ბათომში ძალიან დიდი გასავალი აქვს, სათეატრო დარბაზი ყოველთვის გაჭედილია ხალხით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენებს განსაკუთრებით ეტანება დაბალი ხალხი და საშუალო ინტელიგენცია, რაც შეეხება აქაურ მაღალ ინტელიგენციას, ქართულ წარმოდგენებს არ სწყალობს და რომ შეეკითხოთ, თავს გაიმართლებენ—„ქართულ წარმოდგენებზე სიარული ქველმოქმედება არის და მით უმეტეს ბათომში სადაც თეატრის მესვეურობა სცენის მოყვარეთა წრეს უკისრიაო“. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეს ინტელიგენტებიც გადალახავენ ხოლმე ამ დამაბრკოლებელ მიზეზს და წარმოდგენებს ესწრებიან.

ეს ხდება როცა ბათომში გასტროლიორები ჩამოდიან, მაგრამ ნამდვილი მსახიობების დასის მუშაობას. ბათომში უმთავრესად ხელს უშლის ის რომ ქართველობას საკუთარი სათეატრო შენობა არა აქვს, იგი დღეს მოხეტიალე და სხვის კეთილ სურვილზეა დამოკიდებული. ბათომში ორი თეატრია და ერთიც საზოგადო საკრებულოს დარბაზი, სადაც მთელი შარშანდელი ზაფხულის სეზონის განმავლობაში ქართული წარმოდგენები იმართებოდა. პირველი ორი შენობა კერძო პირებისაა, მათ ნებაზეა საქმე როგორც სურთ ისე იქცევიან, თუ უნდათ და კარგს ხასიათზე იქნენ, დაგვითმობენ თუ არა ცარიელზე დაგტოვებენ, რის მაგალითიც ბევრჯელ გვინახავს... რაც შეეხება საკრებულოს დარბაზს, ისე პატარაა და მოუწყობელი, რომ მხოლოდ ვოდევილები თუ დაიდგმება, თორემ სერიოზული პიესის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია.

საკუთარი ბინის უქონლობას ის მოსდევს რომ ქართულ წარმოდგენებისთვის ბათომში არა აქვს საკუთარი გარდერობი და სხვა საჭირო ნივთები, რის გამოც ყოველთვის თუ არა ძალიან ხშირად მაინც იძულებული ვართ ქუთაისს მივმართოთ, და ეს კი დიდ ხარჯებს იწვევს.

როცა ქართულ თეატრს ბათომში საკუთარი ბინა გაუჩნდება, მაშინ წარმოდგენების საქმე უფრო მკვიდრს ნიადაგზე იქნება და აქაური ქართველობაც ამ მხრივ, სხვას არ ჩამოურჩება: ხელს მიყოფს ტანისამოსის, ავეჯეულობის და თეატრისთვის სხვა საჭირო ნივთების შეძენას და ყოველივე ეს კი შექმნის ისეთ პირობებს: უპირველესად ყოვლისა ქართული წარმოდგენების მართვა სხვის ნება-სურვილზე არ იქნება დამოკიდებული და თავის პატრონი თვითვე იქნება, ამას გარდა ის აუარებელი ფული, რომელიც დღეს ქირის სახით იხარჯება, ისევ შენობით დატრიალდება. ამას გარდა შენობას ხანდახან გავაქირავებთ და შემოსავალს მოგვცემს. და ამას მოჰყვება ის, რომ ბათომს შეეძლება მიეცემა მსახიობთა საშუალებით სეზონი აწარმოოს და ხალხი უფრო მეტი მოიზიდოს და ამ რიგად ქართული თეატრის საქმე მკვიდრს ნიადაგზე დააყენოს...

ბათომელებს როგორც ახლა ირკვევა ერთს დროს ყოველივე ეს გათვალისწინებული ჰქონიათ და განუზრახავთ სათეატრო დარბაზის შენობა შემდეგის გეგმით: აქ წერა-კით. გამ. საზოგადოებას თავის სკოლისთვის აქვს საკუთარი ერთ-სართულიანი ბინა, სახლი, როგორც მცოდნე პირებს შეუმოწმებიათ მკვიდრს საფუძველზეა აგებული; ასე რომ შესაძლებელია ზედ მეორე სართულის დადგმა და აი სწორედ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია მეორე სართულის დაშენება და სათეატრო დარბაზის მოწყობა. ეს განზრახვა ეჭვს გარეშეა ძლიერ სიმპატიური, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო დღემდე მხოლოდ განზრახვად იყო დარჩენილი. დღეს ისევ აღიძრა სათეატრო დარბაზის საკითხი. წ. კ. გამ. საზოგადოების გამგეობამ დეკემბრის პირველ რიცხვებში გამართა „ფინჯანი ჩაი“ რომლისგან წმინდა შემოსავალი დარჩა თორმეტ ათას მანეთამდე. გამგეობამ განიზრახა ეს ფული გადასდოს სათეატრო დარბაზის ასაშენებელ ფონდისთვის და ამით საქმეს საფუძველი ჩაუყაროს.

თეატრის აშენების საქმე ადვილად რასაკვირველია ვერ გადაწყდება და იმედია გამგეობაც, საფუძვლიანად ჩაუკვირდება მას და ისე მოიქცევა, ხოლო საჭიროა გამგეობამ საკითხი დაივიწყებას არ მისცეს; რადგან ამისთანა დროს როგორც ახლა გვაქვს ვერას დროს ხელთ ვერ ვიგდებთ და დიდი დამნაშავენი ვიქნებით, რომ არ ვისარგებლოთ.

ქუთილი ხანდალა.

მოწყენილი ამბები

დ. ზუგდიდი. არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა უმწეო მდგომარეობაში ჩააგდო ხალხი საშინელმა ომმა. მოუსავლობა, საშინელი სიძვირე და მრავალი სხვა თანამედროვე ომისაგან წარმომდგარი გარემოება სასოწარკვეთილებაში აგდებს ხალხს და განსაკუთრებით ღარიბ ნაწილს. როდის მოეღება ბოლო ამ უბედურებას ვინ იცის და ნუგეშის მცემელი კი არავინ არის. მიუმატოთ თქმულს ადგილობრივი ორგანიზაციების უქონლობა და ჩვენი უბედურება სავსებით თვალ წინ წამოგვიდგებათ. ახლა ავაზაკობა... ამაზე იმდენი ითქვა გაზეთებში რომ ახალის მიმატება საჭირო აღარ არის. მხოლოთ უნდა ვთქვათ რომ ახალმა მაზრის უფროსმა ბ. რ. დვალმა ავაზაკების ასალაგმავად ბევრი რამ გააკეთა. მთელი მაზრა მიიარა და ხალხს მიმართა დახმარებისათვის და მართლაც ამ საშუალებამ გასჭრა. რამდენადმე შეწყდა ავაზაკობა. ჩვენის აზრით, ხალხის დაუხმარებლად საქმე არ მოგვარდება და მაზრის უფროსმაც ამ საქმეში ხალხი მოიშველია. პურის უქონლობამ ხალხში ავათმყოფობა გაადიდა. მოდებულია სოფლათ სხვა და სხვა გადამდები ავათმყოფობა. კოოპერატივი მოელის ამ მოკლე ხანში შაქარს და პურის კი არაფერი იცის. მკითხველს მოეხსენება ალბად რომ ზუგდიდში წელს დაარსებული კერძო გიმნაზია მოთავსებულია ნაჭყიავებ სახლში. გიმნაზიის გამგედ ითვლება ბ. მ. კობახიძე. მასწავლებელი კი სულ ოთხია—ორი მათგანი ქალია. 22 დეკემბერს ზემოხსენებული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციამ მოსწავლეების სალამო გამართა. სალამო ოთხი ნაწილისაგან შესდგებოდა... ერთი ვოდევილი ქართულად დადგეს, მეორე რუსულად—ორივემ კარგა ჩაირა. შემდეგ ლექსები წაიკითხეს, სხვათა შორის ერთმა რუსის მოწაფემ წაიკითხა ქართული ლექსი „ჩიტო ჩიტო ჩიორა“-ო მშვენიერად. მოწაფეების ხორომ მასწავლებელ ბ. ჰელიძის ხელმძღვანელობით იმღერა: „ალილო“, აკაკის „დილს მერცხალი“ და „თამარის დროშა გაშალეს“. დასასრულ „ორარესა მამაშაო“ სიმღერაზე ითამაშეს ლეკური მოწაფეებმა. სალამოს ქართული სახე ქონდა. ყოველი ნომერი სისწორით იყო შესრულებული. ხალხი ყმაყოფილი და მადლიერი დაიშალა.

ზუგდიდის კოოპერატივი შეძლების დაგვარ სამსახურს უწევს თავის წევრებს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ არის სასურველ დონეზე, საჭიროა მომავალ წლიურ კრებაზე აღიძრას საკითხი თანხის გადიდების შესახებ. დარწმუნებული ვართ წევრები სიამოვნებით მიეგებებიან და ყურადღებით მოეპყრობიან ამ ფრიად სასარგებლო საზოგადო საქმეს.

მანები.

კოოპერატიული მოძრაობა

ი. შინდისი. (გორის მაზრა) აქ კოოპერატიულ საზოგადოების წევრთა კერძო კრება მოხდა. საზოგადოების თავმჯდ. ბერძნიშვილმა გააცნო დამსწრენი საქმის ვითარებას და აღნიშნა რომ ხალხი ვერ ეკიდება ჯეროვანის ყურადღებით დაწყებულ საქმეს და მძიმედ ეწერებიან წევრებად, ყურს უგდებენ ჭორებს, რომელსაც ავრცელებენ არა კეთილის მსურველნი და თუ ესე გაგრძელდა ის იძულებული იქნება დაუბრუნოს წევრებს ფული უკან. კრებაზე ლაპარაკში ყველამ მიიღო მონაწილეობა, ერთხმად ის აზრი გამოსთქვეს, რომ დაწყებული საქმის ჩაშლა დიდი სირცხვილია სოფლისთვის. და წევრების მოსაგროვებლად ამოირჩიეს კომისია რომელშიაც შედიან რ. პაპუნაშვილი, ლ. მირზაშვილი გ. მადუაშვილი. რომ ხალხს უფრო მეტი ნდობა ჰქონოდა გადაჰსწყვიტეს მოიწვიონ დამსახურებული სოფლის მოღვაწე ი. დ. მაჰავარიანი; მისაგზავნად აირჩიეს სანდრო მინდიაშვილი და მ. თათრიშვილი. იმედია, რომ პატივცემული მაჰავარიანი მთელ ხელმძღვანელობას თუ არა ზოგადად დაეხმარება საზოგადოებას.

—

ს. ზემო-ხვითი. ს· ზემო-ხვითშიაც არსებობს მომ. საზოგადოება „განთიადი“ სათავეში უდგან ი. დ. მაჰავარიანი და მ. დიასამიძე. აქვთ მაღაზია. სასიამოვნო მოვლენაა რომ სოფლის სკოლაში ნასწავლი ქალები დგანან დაზგასთან, ვაჭრობენ და ანგარიშობენ. საქმე მშვენივრადაა დაყენებული; მომხმარებელი მეტად ხელსაყრელ ფასებში ყიდულობს საქონელს. სხვათა შორის ილ. მაჰავარიანი ხანში შესული კაცია და ეკუთვნის იმ თაობას—წრეს, რომელსაც ეკუთვნოდნენ ეხლახან გარდაცვალებული მიხ. ყიფიანი, და სვ. ჰრელაშვილი. ამან დიდი ხანია თავი ანება ქალაქს და იწყო აქ ცხოვრება. მთელი მისი ცხოვრება ისეთივე სპეტაკი იყო და არის, როგორც მისი ჭაღარა: თავის სახლში აქვს სკოლა და მესვეურობს სოფლის დაწესებულებებს. იშვიათი ინტელიგენტია, რომელსაც ესეთი ნდობა ჰქონდეს გლეხკაცობაში დამსახურებული. ერთგვარ სულიერ სიმტკიცეს გრძნობ, როცა ხედავ შენ წინ სხვის ნათლად გავლილ ცხოვრებას.

ძმური დახმარება

პატივცემულო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ 24 მან. 50 კ. დაზარალებულ ჰანების სასარგებლოდ მოგროვილი ქართველ მაჰმადიანებთა შორის ს. ქედმო აგარაში (აჭარა) და დანიშნულებისამებრ გადასცეთ იმ საზოგადოებას, რომელიც კისრულობს ჰანების დახმარებას. ამასთანავე უახლოესი ნომერში თქვენი პატივცემულ გაზეთში დაგვისტამბოთ შემდეგი: ჩვენ ქედმო აგარის ქართველ მაჰმადიანები მიუხედავად ჩვენი დიადი გაჭირვებისა, ვილებთ უკანასკნელ მცირე წვლილს და ჩვენი მოძმე ქართველ ქრისტიანებთან ერთად ვურთიებთ ჰანების დასახმარებელ ფონდს.

სია შემომწირველთა: მასწავლ. ნიკიფორე გიგილია 3 მ. მასწ. ნინა იორაიშვილი 3 მ. ხოჯაბური ეფენდი დევაძე 1 მ. ხოჯა ისმაილ ეფენდი დევაძე 1 მ. მუხთარი აჯი ალა დევაძე 1 მ. ბაირამ თებიძე 2 მ. დერსუნ ალა დევაძე 1 მ. ალი ოსმან ალა დევაძე 1 მ. მემედ თალიბ-ოღლი დევაძე 1 მ. ახმედ ალა დევაძე 1 მ. სულეიმან ალა თებიძე 1 მ. ხუსეინ თებიძე 1 მ. შაქირ დევაძე 50 კ. სულეიმან დევაძე 50 კ. ახმედ ასლან ოღლი დევაძე 50 კ. ესედაჯ დევაძე 50 კ. შაბონ დევაძე 50 კ. აბდულ თებიძე 50 კ. შაქირ შარაძე 50 კ. აბდულ კონწელიძე 1 მ. სულეიმან გორგოლაძე (მახინჯაურელი) 1 მ. ოსმან შაითაძე (კიბელი) 1 მ. ოსმან დევაძე 50 კაპ. მეილუდ მერჯან ოღლი დევაძე.

აქედან ფოსტის ხარჯი 50 და დანარჩენი 24 მანეთი გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

შემომწირველთა მონდობილობით ქედმო აგარის ქართ. სკოლის მასწავლებლები: **ნიკიფორე გიგილია და ნინა იორაიშვილი.**

წერილი აზრუმიდან.

რაც რუსის ჯარი შევიდა ამ ქალაქში, მას დღითი დღე სიცოცხლე ეტყობა და ვაჭრობა-მრეწველობაც თანდათან მატულობს. აქ მრავალი ქართველი მოვაჭრე ჩამოსულა და სავაჭროები გაუღიათ, მაგრამ როგორც წინად ვწერდი, დიდი დაბრკოლება აქვთ მეზობელ სომხის ვაჭრებისაგან, რომელნიც შურის თვალით უყურებენ. დღეს აზრუმში ბლომად შეხვდებით ქართველს, როგორც მოვაჭრეს, ისე მუშას და ჯარისკაცს; მათ შორის არავითარი კავშირი არ არის, ქალაქში ვერც ერთ ქართულ გაზეთს ვერ ნახავთ, რომ კაცმა თავისი მშობლიური მხარის ამბავი გაიგოს. ქუჩაში ბევრია გაზეთების დამტარებელი რუსის ბავშვი, რომლებიც ბლომად ასაღებენ რუსულ გაზეთებს და ქართულ გაზეთებს კი წამლადაც ვერ შეხვდებით. განა აქაურ ქართველ ვაჭრებს არ შეეძლოთ ეს ფრიად სიმპატიური საქმე რამენაირად მოეგვარებინათ? განა არ შეუძლია რომელიმე ქართველ მოვაჭრეს ქართული გაზეთი გამოიწეროს და მიაწოდოს აქაურ ქართველობას? და ეს ხომ დიდი სიკეთე იქნება და სასურველი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში! ერთ სომეხს აქ გაუღია კიოსკი და რუსულ-სომხური გაზეთები აქვს და ჩემს შეკითხვაზე—ქართული გაზეთები გაქვს თუ არა-მეთქი, მიპასუხა: „რა საჭიროა ქართული გაზეთები, როცა სომხურ-რუსული გაზეთები ბლომად მაქვს“. იმედია რომ აქაური ქართველი მოვაჭრენი ამ საქმეს ახლა მაინც მოაგვარებენ, გამოიწერენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და ხელმისაწვდომ ფასებში მიაწოდებენ საზოგადოებას.

როგორც წინა წერილში ვწერდი, აქ რამდენიმე ქართველი მაჰმადიანის ოჯახია, რომელნიც მოყვარულნი არიან ქართული ენისა და მწერლობისა, თუმცა მათ ქართული მწერლობის არაფერი არ იციან, ხოლო დიდი სურვილი კი აქვთ შეისწავლონ. ამისთვის საჭიროა ქრისტიანმა თანამოძმეებმა მათ დახმარება გაუწიონ. კარგი იქნება დაარსდეს აქ „ქართველთა კავშირი“, რომლის წევრებად უნდა ითვლებოდეს ყველა ქართველი, მუშა თუ ვაჭარი მიუხედავად სარწმუნოებისა, წოდებისა და მიმართულებისა. წევრებმა უნდა ამოირჩიონ გამგეობა, რომლის მიზანი იქნება იმუშაოს აქაურ ქართველობის სასარგებლოდ, გაუწიოს მეთაურობა აქაურ ქართველობას ყოველ საქმეში და ამით შეებრძოლოს სხვადასხვა დაბრკოლებებს.

ალექსანდრე ვ. გორგაძე

ქართველები ჯარში

ბ-ნო რედაქტორო! შვიდი თვეა, რაც არავითარი ცნობა არა მაქვს ჩემი შვილის ჯარის-კაცის ნუკრიანელ თედო სვიმონის ძე ღლილაშვილისა, რომელიც დაიჭრა მძიმედ 9 ივნისს—გვატყობინებდა ამხანაგი და მერე პოლკიდამაც ესევე ცნობა მივიღეთ; მხოლოდ რომელ ქალაქში წაიყვანეს არ იწერებოდნენ. ჩემი შვილი მსახურებდა 209 Богородицкій полкъ, 12 рота. უმორჩილესად გთხოვთ, ვინც კი იცის იმის ავი თუ კარგი შემატყობინოს შემდეგი ადრესით.

Г. Сигнахъ Нукріани. кн. Михайлу Сем. Андроникову.

სვიმონ ღლილაშვილის გადასაცემად.

—

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ სტუდენტ ვანო კოსანდალეს ძე მახარაძეს, რომელმაც კეთილ ინება და გამოგვიწერა ჩვენ ქართველ ჯარის-კაცებს „სახალხო ფურცელი“, რომლითაც საშუალება გვეძლევა ჩვენ სამშობლოს მოწყვეტილ ქართველ ჯარის-კაცებს ჩვენ სამშობლოს ჭირვარმის გაგებისა.

ლადო ტილურაძე.

ავსტრიის ფრონტიდან 16/XII 1916 წ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო საგარეჯოს კოოპერატივს, ბ. ალ. მთვარაძეს, ბლ. მღ. ალ. გულისაშვილს, ბ. ბ. კ. ქურდოვანიძეს, ლ. ზედგინიძეს, ძმ. კ. და ნ. ქელივიძეებს, მ. გურგენიძეს, ვ. და ვ. მჭედლიშვილებს და ს. არუთინოვს ხუთასი თუმნით უსარგებლოდ ხელის გაწყობისათვის, რამაც მომცა საშუალება ერთი ვაგონის თეთრი ფქვილისა და რამდენიმე ფუთი შაქრის შეძენისა სპეციალურად საგარეჯოს რაიონის მასწავლებელთა საჭიროებისათვის.

პატივისცემით **მასწავ. ალ. ლეჟავა.**

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ საშუალება მოგვცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის ფურცლებზე უღრმესი მადლობა გადაუხადოთ ბ. დათიკო ლეჟავას (მომღერალს), რომელმაც კეთილ ინება და უსასყიდლოდ მ.ინაწილეობა მიიღო სოფ. ხაშურში 3 დეკემბერს გამართულ სალამოს საკონცერტო განყოფილებაში, რომელიც გამართულ იქნა ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ხაშურ-სურამის განყოფილების ქონებათა გასაძლიერებლად, ამავე დროს დიდ მადლობას ვუძღვნით ქ. კლდიაშვილისას, ქ. ბაბტაძეს, ქ. ზუმბაძეს, ქ. მარო ყიფიანს, ქ. რევაზიშვილს, ქ. ნემსაძის ასულს, ბ. კ. ძნელაძეს, ბ. ნაკაშიძეს, ბ. ცეცხლაძეს, დრამატიულ წრის გამგეობას და სცენის მოყვარეებს, რომლებმაც შრომა არ დაიშურეს და ენერგიული მონაწილეობა მიიღეს სალამოს გამართვაში.

გამგეობა.

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ შეძლება მოგვცეთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე გულითადი მადლობა უძღვნათ სემინარიის კორპორაციის და მოწაფეთა სახელით **ბაქოს ქალთა წრეს**, რომელმაც მშობლიური მზრუნველობა გაუწია ღარიბეს სემინარიელთ და შემოსწირა მათ სასარგებლოდ 300 მანეთი.

სემინარ. მდივნის თ. ალმ.

ივ. ბერიაშვილი.

შემოწირულება

ბატონო რედაქტორო, 26 დეკემბერს ჯულფაში მცხოვრებმა ქართველების ჯგუფმა კირილე მიქაძის სახლში ვახშამზე შეაგროვა და გადმომცა რედაქციაში გამოსაგზავნად ჩვენის ძმების მაჰმადიან ქართველებისთვის მეჩითის ასაშენებლად ქაქუთში.

ანტონ გიორგაძემ 5 მან., ონისიმე კაჭახიძემ 4 მან. ორ-ორი მანეთი: მღ. ვასილი მატათაშვილმა, ლევან მიქელიძემ, ვლადიმერ ჩაჩავამ, მიხა სტუროამ; თითო მანეთი: სევერიან თელიამ, კირილე მიქაძემ, სერგო მოდებაძემ, ანნა გიორგაძისამ, ლიდა ჩაჩუასამ, დოვლინა სტუროასამ; კატო მიქელაძისამ 50 კაპ.

ამავე მიზნისთვის 366 გოსპიტალშ მწოლარე თავადმა ბურდღუ მხეიძემ გადმომცა ხუთი მანეთი.

მღ. ვასილ მატათაშვილი.

—

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში 17 ქრისტიშობისთვეს დაბა ხაშურში ჩემი ჭრა-კერვის სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გამართეს სალამო ამავ სკოლის მასწავლებლებმა, სალამოს მოწყობაზედ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ქ. ნინო ყაჯაიშვილისამ, ბ. კოწია ძნელაძემ, ბ. მიხეილ ლაზრევმა, ქართული სიმღერები შეასრულეს კნ. ეკატერინე ფალავანდიშვილისამ და კნ. მარიამ თარხან-მოურავისამ.

სალამოდან წმინდა შემოსავალი დარჩა 240 მან. და 8 კ., ამ ფულით განთავისუფლებულნი იქმნენ მთელი წლის გადასახადისაგან 12 მოწაფე. მათი გვარები: იონათამოვი მარიამი, გვერწითელი ქეთევანი, ჩოჩიაშვილი სოფიო, ორჯონიკიძე თამარი, ელისაშვილი ანნა, ქურდაძე ანნა, ელისაშვილი ოლღა, ხაჩიძე ანნა, ახალკაცი თამარი, ტატუნაშვილი ელენე, აბრამაშვილი თამარი, კირკიტაძე მარიამი.

გულითად მადლობას ვუძღვნით მეც და ღარიბი მოწაფენიც ყველა ზემოხსენებულ პირთ. აგრეთვე მადლობას ვუძღვნი გორის კლუბის მამასახლისთა საბჭოს, რომელთაც გადმომცეს ხუთი თუმანი ქ. გორში ჩემი ჭრა-კერვის სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთათვის, ამ ფულში გავანთავისუფლე სამი ღარიბი მოწაფე სახელდობრ ბუთხუზი, დაბრუნდაშვილი და ელიოზიშვილი. ქ. საქველმოქმედო საზოგადოების გორის განყოფილებისაგან მივიღე ხუთი თუმანი, ამ ფულში გავანთავისუფლე თითო წლის გადასახადისაგან ორი ღარიბი მოწაფე. მათი გვარები: ნ. მიტრაფანოვა და ს. პავლიაშვილი.

გორის, ხაშურის და ახალქალაქის ჭრა-კერვის სკოლების დამაარსებელი და გამგე **ე. თარხან-მოურავი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ საშუალება მისცეთ ძველისენაკის სამკითხველოს გამგეობას უღრმესი მადლობა გამოუცხადოს იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ახლად დაარსებულ სამკითხველოს შემოსწირეს: 5 მან. ანნა გამსახურდიასამ, 4 მ. 70 კ. მინადორა ბოხუასამ, 3 მან. პაშა თურქიამ, 4 მან. კოტე დავითაიამ; თითო მანეთი: ტოგო ხოშტარიამ, პლატონ აბლოთიამ, ალექსანდრე ფარგულავამ, კოსტანტინე გვამიჩავამ, რაჟდენ ფანცულაიამ, ალექსანდრე ჩიხლაძემ, ისლამ ჩემიამ, თადეოზ ხოფერიამ, ამბროსი გიგიბერიამ, ბარდღა შალაბერიძემ, პლატონ აფაქიძემ, მიხეილ ჯიქიამ, დათიკო ღუპეციამ. და აგრეთვე აპოლონ ქავთარაძემ, რომელმაც გამოუწერა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“.

პატივისცემით გამგეობის თავმჯდომარე **ს. ქავთარაძისა.**

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.	
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
"	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
"	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
"	საფ.	№ 4,	9,28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	9 .	დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52	დილ.
"	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 8,	10.08	დილ.
"	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
"	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
გორიდან	სამგზ.	. .	6.34	საღ.
თელავიდან	. .	№ 3,	6.24	"

დაიკარგა

წმ. გიორგის ორი ვერცხლის ჯვარი, №№ მე-4 ხარისხისა 37720 მე-3 ხარისხის 20436. მპოვნელს უმორჩილესად ვთხოვ, მომიტანოს, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს. მისამართი: Канцелярія 12-ой роты, 218 запаснаго полка фельдфебелю Гелашвили. 21

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე
(გარდა კვირისა)
დილით:
„606“ და „914“
11-12 შეშხაპუნება კონსულტაციურად

ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული. (სიფილის, ავადმყ.).
ბ. გ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
საღამოთი:
ა. ნ. ახაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.
1057

კატოვრიოზის მტერი
დამარცხებულია!!
სუსუნატი მორჩენილია. დადგა სანატრელი დრო,
ბოლო მოეღო
ტანჯვას.
სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“ თავისი შესაშხაპუნებლით და დასალევით. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარ-გარეთულ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია

თუ თქვენთვის ეს საქმილო არ იქნება, გთხოვთ შეიკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. სუსუნატი გახლავთ ორნაირი ახალი და დაძველებული. ფასი ახალის სუსუნატის მოსარჩენი 22 მანეთი და დაძველებულის 35 მანეთი. ნახევარი კურსი გარე ქვეყნებში არ იგზავნება. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 5 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ ტფილისი, თხინვალის ქუჩა № 12. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მელიქოვის ქუჩის. 2 ნაწ.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, 2 уч. отд. 1—2.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. 1353

ვინც იტანჯება ათაშანგით
(სიფილისით)
ვურჩევთ იხმარონ ცნობილი საშუალება
პრეპარატი
„IODOSTARIN“ (იოდოსტარინ).

მთელი კურსის ფასი 30 მ. $\frac{1}{2}$ კურსის ფასი 16 მ., $\frac{1}{4}$ კურსის ფასი 8 მ. 50 კ.
ქალაქს გარეშეებს ეგზავნებათ ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტთან, ტფილისი, თხინვალის ქ., № 12, გოლოვინის პროსპექტის და მამადავითის ქუჩის ახლო. Тилисъ, Тхинвальская № 12, отд. 1—2·

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ნ. ვ. აბრამიანისა
საბუღალტერო კურსები
(არსებობს 1895 წლიდან).
ღებულობს მოწაფეთ ორივე სქესისას. კურსები 4 თვიანია,
ყოველ დღე მეცადინეობით.

15 დეკემბრიდან დაიწყო თხოვნების მიღება. სწავლა 1917 წლის 15 იანვრიდან იწყება. პროგრამა და მიღების წესის ქაღალდი გაეგზავნებათ და მიეცემა ყველას უფასოდ კურსების კანცელარიიდან ნიკოლაევის ქუჩა № 22. ტელეფონი 7—44. 1447

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.

ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის ხიზილალა, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შიშაიბი. მუდმივ გვაქვს ცოცხალი, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება. 1025

Дозволено военной цензурою

სტამბა „ქართლი“ მ. ი. ციციშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობაში.